



ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1988 წლიდან

რადიონის საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი

№ 25 (6571) 24 ივნისი

ხუთშაბათი

1988 წელი

«მ, დროებანო, მ, ზნეობანო!»

შესძახა ციკრონმა კა-ტილინას წინააღმდეგ თა-ვისი ცნობილი გამოსვლის დროს. ო ტემპორა, ო მორგეს!—თუ არ გვეყრის-ართ, გულში მაინც გავი-ლებთ ხოლმე მორიგი უზ-ნეობით აღშფოთებულნი და ამით ჩვენდა უნებურად ადამიანთა სიბილწესა და უგუნურებას დროს ვაბრ-ალვით. არადა, დრონი იცვლებიან, ჟამთა ცვა-ლებადობას კი ადამიანის ბუნება და ფსიქოლოგია ხაკლებად ემორჩილება. ამიტომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძი-ლზე არ იცვლებოდა თა-ნაფარდობა სიკეთესა და ბოროტებას შორის. სიყ-ვარულის და გულმოწყა-ლების გვერდით ყოველ-თვის იყო ღვარძლი და სიხარბე, გულჭეობა. ეს კია, ცუდი დროება უფრო ავლენს ადამიანთა უზნე-ობას, უფრო თვალშისაც-ემს ხდის ბოროტებას. ამ-იტომაც გასდევს ჩვენს ისტორიას რეფრენად ცი-კრონის ეს ცნობილი ფრაზა.

ის რაც ჩვენში ხდება ახლა, ერთი სიტყვით შე-იძლება იწოდოს კატას-ტროფა, სრული პოლიტი-კური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური კატასტ-როფა. გასსოვთ ქართული ზღაპრიდან—ამირანი წლო-ბით კი არა, საათობით იზრდებოდაო. ასე სა-თობით, თვალშეუწრე-ბი სისწრაფით იზრდ-ება ინფლაცია და სიღატაკი. ჭირი ჭირს, უბედურება უბედურებას ემატება. ასეთ დროს იზ-

რდება მოთხოვნილება სი-კეთეს, გულმოწყალებზე, სიბრალულზე და მიუხე-დავად იმისა, რომ „ადა-მიანი ადამიანისათვის მგე-ლია“, ჩნდება ისინიც, ვისი მრწამსიც საპირისპ-ირო ფორმულით („ადა-მიანი ადამიანისათვის ღმე-რობა“) გამოიხატება. ამის დასტურად ჩვენში გასუ-წყვეტილ მომდინარე სა-ზღვარგარეთული ჰუმანი-ტარული დახმარებებიც კმარა. თუმცა, რატომ ძხოლოდ საზღვარგარეთ-ული ჩვენთანაც არიან ისეთები, ვინც პერანგს იხდის და შიშველს აცმევს. მაგრამ, სამწუხაროდ, ის-ეთი უფრო მეტია მგონი, ვინც ამ პერანგს ისევ გახდის და თვითონ ჩაიც-მევს, ვინც არათუ თავისას გასცემს, არამედ სხვის ბოძებულსაც თავისთვის ითხოვს.

ითხოვს და ხშირად იღ-ებს კიდევ—ასე ამბობენ ცაგერელები და ამბობენ იმ ჰუმანიტარული დახმარე-ბის გამო, რომელიც რაი-ონში აფხაზეთიდან შემო-ხიზნულ ადამიანებს ეგზ-ავნებათ. ლტოლვილების—ათვის განკუთვნილი ასეთი ტვირთი ამას წინათ შემ-ოვიდა ლეჩხუმში. 3, 3 ტონა ბრინჯი და 5 ტონა კარტოფილი უნდა განაწ-ილებულიყო წესით 300 კილოგრამი ბრინჯი და 400 კილოგრამი კარტოფილი გზაში წაგვართვესო. შეი-არაღებულმა პირებმა—გან-აცხადეს ტვირთის ჩამო-მტანებმა, ამას გარდა 700 კილოგრამი კარტოფილი დამპალი და გაუვარგისე-

ბულიო,—ამბობს ბატონი გულვერ ბრეგვაძე, რაიო-ნული საკრებულოს გან-ყოფილების გამგე, რომე-ლიც კურირებს ჰუმანიტ-არული დახმარების განა-წილებას. დარჩენილი 3 ტონა ბრინჯი და 3900 კილოგრამი კარტოფილი დაუბრუნდათ ლტოლვილებს და.

1993 წლის 15 ივნისს რაიონული საკრებულოს გამგეობამ მიიღო გადაწყ-ვეტილება ჰუმანიტარული ტვირთის მცირე ნაწილი გამოყოფილიყო რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის და პირებისათვის. ასეთები რაიონში ბევრნი არიან და საკრებულოს გამგეობის მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. მაგრამ უბე-დურება ისაა, რომ არავის დაუზუსტებია ასეთ პირთა სიები, არავის აღურიცხია ყველაზე გაჭირვებული, უსასხროდ დარჩენილი და ლამის შიმშილამდე მისული ოჯახები. ასე რომ ყოფი-ლიყო, უკეთესი იქნებო-დაო, ამბობენ ახლა, ჩვენც გადავჩვენებოდათ ხალხის შემოტევას, ვინც მოვიდა მივეციოთ. გიშველოთ ღმე-რთმა, კარგია ყველას მო-მადლიერება, მაგრამ ვინც ვერ მოვიდა და მართლა ძალიან უჭირს, მან რა დააშავა? ანდა ინვალიდ, ავადმყოფ, გაჭირვებულ კაცს 10—15 კილოგრამ ფქვილს რომ აძლევს, ხო-ლო მას, ვისაც ღვთის წყალობით არც ჯანი და-ლატობს, ოჯახიც ძლიერი ჰყავს და შთამომავლობაც

მომხდები, მაგრამ მაინც „დამსახურებისამებრ“ ით-ხოვს, ტომრობით მიაქვს, შეიძლება? კი შეიძლება კაცსაც უნდა ჰქაძა, მით ჭფრო, ფულიც რომ გქონდეს, დღეს ვერაფერს იშოვი კაცი. მაგრამ შენზე შეჭირვებულიც რომარის ქვეყნად? შენ, ვისი გაჭირვებაც ისაა მხო-ლოდ, რომ ცოლს ტყავის მეორე „დუბლიონკა“ ვერ უყიდე, ვერ ხედავ ჩვენი ქალაქის ქუჩებში რამდენი საცოდავი, გაუბედურებ-ული მშვიერი სახეები და-დის? ვერ ხედავ უკვე წა-მოჩივულ გოგონას, კალ-ოშები რომ არ ეცვას კო-პწია ფეხსაცმელის ნაცვ-ლად, ისიც რომ ადვილად შეიძლება მოწონებ-ოდნა ბიჭებს? ვერ ხე-დავთ ამოღამებულ თვალე-ბიან ქალს, ბოთლებს რომ აგროვებს, რათა ნაშოვნა ფულით ავადმყოფი შვილს წამალი უყიდოს? არ და-გინახავთ ცხელი პურის დანახვაზე მშვიერი ძაღ-ლით მშვირად მთვებული ადამიანის თვალები? მაშ, რას ხედავთ თქვენ, (მხო-ლოდ საკუთარ „დამსახუ-რებებს“? ლუკმა, რომლის მისაღებად თავი დაიმცირე და ისიც უხერხულ მდგო-მარეობაში ჩააგდეს, ვინც იძულებული გახდა შენ-თვის მოეცა იგი, ხომ მშე-რის გამოვლიერ პირიდან. დაფიქრდი ამაზე კაცო, ნუ ათქმევინებ ჭინმეს-კაცია ადამიანი!

ია ხველიძე.

ომი, ნგრევა, კრიმინოგენ-

ური სიტუაციის გამწვავე-ბა. ფასების ზრდა, ეროვ-ნული კუპონის გაუფასუ-რება, გაჭირვება, შიმშილი. წარმოუდგენელი ცხოვრე-ბის პირობები შეექმნათ ადამიანებს. მარტო თუ ჩვენს პირობებში გადავა-ვლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ოჯახური თუ სამსახ-ურებრივი აუცილებლობი-სთვის ცაგერიდან რომ თბილისში ჩახვიდე, 10 ათასი კუპონიც კი არ კმა-რა, თუ კუპონი მძოლამა აიღო. ერთ კაპიკიან კო-ლოფ ასანთში რომ 50 კუპონს. ერთ კილოგრამ ლობიოში 2000—2500 კუ-პონს გადაიხდი და ასე შემდეგ. და ამით გარდა რამდენი რამ სჭირდება ადამიანს, მაშინ როცა მი-ნიმალური ხელფასი თუ პენსია 4600 კუპონს შეა-დგენს.

ამ დროს კი ჩვენი პარ-ლამენტის ზოგიერთი წევ-რი ზის სხდომებზე და მეტწილად—რაღაც პირა-დულ ამბიციურ საკითხე-ბზე მსჯელობს და სამწუ-ხაროდ, ყოველივე ამას ტელევიზიით უყურებს რესპუბლიკის ფართო აუ-დიტორია. სასაცილოა, სატირალო, რომ არ იყოს, ამას წინათ დეპუტატმა მურვანიძემ პირიც კი აიკ-რა წითელი ლენტით საჯა-როდ—დეპუტატებმა პრე-მიები რატომ აიღეთო, მე კი არჩევის დღიდან დღე-მდე პირდაპირ უზივია-რო. ისე საინტერესოა რესპუბლიკის გადარიბე-ბული, შეიძლება ითქვას არარსებული ბიუჯეტიდან რისთვის ეკუთვნით დეპ-უტატებს პრემიები? ამ გაჭირვების ჟამს რესპუბლიკურმა პარტიამ და ფრაქცია „რესპუბლი-კელებმა“ შეიმუშავეს და 8—11 ივნისის საპარლამე-ნტო სხდომებზე წარადგ-ინეს გეგმა: „როგორ დავ-ძლიოთ სახელმწიფო ხე-ლისუფლების კრიზისი“. იგი 16 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლ-იკაში“ გამოქვეყნდა

დასასრული მე-2 გვერდზე

გულს იმედად ესაღზუნება

ახლა, როცა ჩვენი სამ-შობლოს რჩეული ვაჟკაც-ები ჩვენი მიწის მთლიან-ობისთვის ბრძოლას ეწ-ირებიან, საფრთხე ექმნება ერის გენოფონდს, თითო-ეული ქართველის დაბად-ება, ჩვენი ქვეყნის რომელ-კუთხეშიც არ უნდა იყოს, ჩვენი ზეიმი და აღმავრე-ნა.

დემოგრაფიული პრობ-

ლემები და ერის გადაშე-ნების საფრთხე აფიქრებდა ოდითგან მტერშემოსეულ ქართველს, ათასგვარ გას-აჭირში მყოფათათვის დღე-საც ესაა ჩვენი საფიქრე-ბელი. მაგრამ მომავლის იმედით ვითმენთ, ლამის სიცოცხლის ფასად ვიტანთ ყველა იმ გასაჭირს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება,

თუმცა ყოველივე ამის სა-ფუძველი დიდი ხანია მზადდებოდა და არ ახა-ლია, ძველია.

ჯერ იყო და მიგრაციამ, სოფლის მოსახლეობის ქა-ლაქისკენ ლტოლვა, ისე დაცალა ჩვენი დასახლ-ებული პუნქტები, რომ სულს დაფავდა ჩვენი სო-ფლები. ხუთი, ათი წელი ისე გავიდოდა, რომ რაი-ონის მაღალმთიან სოფლ-ებში. საღდაც ერთი ბავ-შვი თუ დაიბადებოდა.

სპეციალისტი ლამის სან-თლოთ საძებნი გახდა სო-ფელში, ბავშვების ყო-მული აღარ ავსებდა სკო-ლის კედლებს, ბევრგან სრულიად დაიხურა, გამო-იკეტა სკოლის კარები, ხოლო სადაც ჯერ კიდევ შემორჩა, ისევ სოფლის მკვიდრი, სოფლისა და საქვეყნო საქმისთვის გუ-ლალტკინებული, სოფელს შემორჩენილი პედაგოგის წყალობით, რომლისთვისაც სატანჯველი გახდა 1—2

ბავშვიან კლასში გაკვეთი-ლის ჩატარება, ინტე-რესი დაეკარგა სოფელში ცხოვრებას, მშობლიური კერის დატოვება ახალგა-ზრდებს ჩვეულებად ექცა. არადა, ეს მაღლიანი, სიუ-ხეთა და ტრადიციული ქართული სულით გაჯდენ-თილი სოფელი, სწორედ რომ ახალგაზრდის შეუდ-რეველ ენერგიას, მის მი-წაზე მყარად ფეხმოკიდე-ბულ ოჯახებს ითხოვს.

დასასრული მე-3 გვერდზე



გვყო

რეორგანიზაცია

(დასასრული)

საჯარო განხილვისათვის. გეგმაში აღნიშნულია, რომ შეიძლება განმავლობაში პარლამენტმა ვერ შექმნას ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბების, რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის, არც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა დაუშვებელია, არც ერთიანი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განუხორციელებელია, ჯერჯერობით არც საგადასახადო სისტემის საფუძვლები დადგენილი და სახელმწიფო ფაქტიურად უბიუჯეტოდ ცხოვრობს, არც სახელმწიფო ხელისუფლებასა და მმართველობის ორგანოების სისტემა და კომპეტენცია განსაზღვრ-

ული, რასაც ობიექტურ მიზეზებთან ერთად სუბიექტურ ფაქტორებსაც აბრალებენ, რომ პარლამენტი ხელმძღვანელობამ თავი ვერ გაართვა პარლამენტის მუშაობის ორგანიზებას, პარლამენტის მუშაობის არაორგანიზებულობის გამო პარლამენტი კანონებს იღებს სპონტანურად და არა გეგმაზომიერად კანონის მნიშვნელობისა და დროების ფაქტორის გათვალისწინებით, პარლამენტარების დიდი ნაწილი უკანონოდ უთავსებს საპარლამენტო საქმიანობას სხვა სამუშაოს, რის გამოც პარლამენტის მუშაობის ნაყოფიერება ძლიერ დაბალია. ყოველივე ამასთან ერთად ვეთანხმებით მათ, რესპუბლიკურ პარტიას და ფრაქცია „რესპუბლიკელებს“ მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებლად მიაჩნიათ პარლამენ-

ტის რადიკალური სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომ დღეს არსებული ერთი პალატის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ორი პალატა: ზედა-წარმომადგენელთა საბჭო და ქვედა-ეროვნული საბჭო (რესპუბლიკის საბჭო). მათი აზრით, საარჩევნო დებულება, რომლის საფუძველზეცაა არჩეული დღევანდელი პარლამენტი, პოტენციურად შეიცავს ორპალატიან საპარლამენტო სტრუქტურას: 150 დეპუტატი აირჩა პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო 34 დეპუტატი — მაჟორიტარული წესით. ამიტომ წარმომადგენელთა საბჭო დაკომპლექტდება მაჟორიტარული დეპუტატებით, ხოლო ქვედა პალატა — ეროვნული (რესპუბლიკის) საბჭო პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებით. ზედა და ქვედა პალატების უფლებამოსილება განსხვავებული უნდა იყოს და იგი უნდა ითვალისწინებდეს იმ სპეციფი-

კურ ინტერესებს, რაც მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსს და შესაბამისად, ცალკეულ რაიონებს აქვთ. აქედან გამომდინარე, ზედა პალატის კომპეტენციაში ძირითადად შევა მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც რაიონების განსაკუთრებული ინტერესების სფეროს მიეკუთვნება, ხოლო ქვედა პალატის (ეროვნული საბჭოს) უფლებამოსილება და საქმიანობის წესი იგივე იქნება, რაც დადგენილია პარლამენტისათვის „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონით, ე. ი. რა უფლებამოსილება დღეს აქვს პარლამენტს, რაც ჩემის აზრით, არასწორია. ყოველივე ეს სომ არ ნიშნავს იმას, რომ მაჟორიტარი დეპუტატები ჩამოაცილონ საკანონმდებლო საქმიანობას, და როგორც გეგმაშია ჩადებული, ისინი დააბრუნონ რაიონებში და დანიშნონ ამრჩევი რაიონების (ქალაქების) ადმინისტრაციების მეთაურებად. ე. ი. რესპუბლიკელებს სურთ პარლამენტში საკანონმდებლო საქმიანობა ძირითადად აწა-

რმოწონონ. ამასთან ერთად დეპუტატებმა პარლამენტის სხდომები გვიხვეწეს ხშირად მაჟორიტარი დეპუტატები არ უჭერენ მხარს პროპორციულს სხვადასხვა მათთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებაში, ამიტომ ხომ არ დააყენეს საკითხი მათი იზოლირების შესახებ. ამასთან დღეს ამ გაკვირვების ქამს რატომ ვზრდით ისედაც გაზრდილ შტატებს, პალატების ხელმძღვანელთა, მუდმივკომისიათა წევრების და სხვათა სახით. გვეყო რესპუბლიკის მცხოვრებთ ადენი რეორგანიზაციები, გარდაქმნები, არჩევნები, ხელმძღვანელთა გადადგომა-გაღმოდგომა, უსაქმო ლაპარაკი, ახლა მთავარია ზემდგომი თუ ქვემდგომი ორგანოებისაგან თუ ცალკეული ხელმძღვანელებისაგან მუხლჩაუხრელი, კომპეტენტური შრომა, ათა რესპუბლიკა გამოვიყვანოთ კრიზისული მდგომარეობიდან.

6. ნამსახი.

პოზიცია

სირთულენი ჩველა დროს ახლავს, ჩვენს თაობასაც ახლავს ომის მძიმე წლები, ცრემლიანი ფეხები ომში წასვლებზე, მძიმე შრომა და შავი ქალღმერთი, დაღუპულის მხოლოდ ტანსაცმელზე დატოვება და მაინც იყო რწმენა და იმედი, რადგანაც იყო ადამიანობა, შრომა, თანადგომა და გამტანობა. იყვნენ ღირსეული, მეცხრამეტე საუკუნის დან მოსული ადამიანები, რუდუნებით და უსაყვედუროდ რომ გვასწავლიდნენ შრომას და ამტანის სიბასს, ლუკმას გვიყოფდნენ, კარგისთვის გვეფერებოდნენ, ცუდს არ გვპატიობდნენ. ჩვენი სად წავიდა ის გულის სიბო და თანადგომა, რატომ გაუცვიდა ადამიანს გული და გრძობა, რატომ გაუუცხოვდნენ ადამიანები ერთმანეთს, რატომ ჩასახლდა ადამიანში ეშმა და ბოროტი და გახდა ის დაუნდობელი და ვერაგი, თვალთმაქცი და ორპირი? რატომ დაჩაივდა ადამიანის სული, გამარტოვდა მისი აზროვნება და იქცა ეჩო რობოტად, უზნეობის მთელ სამზარეულოდ? ყველაფერს გარდაშვალ პერიოდს ნუ მივაწერით, ასეთი პერიოდები ბევრმა გაიარა, მაგრამ მსგავს, ცოდვისა და უბედურების მოჭადლოვალ წრეში არცერთი ხალხი არ ბრუნავს, ქვეყანა ათას უბედურებათა სათარეულოდ არ გაუხდიათ. ხალხს უკვე არ ძალუძს სიზიფეს ღო-

საით დის ზიდვა, დაღალა დანაი იდეების შრომამ. ქვეყანა უფსკრულის პირზე კი არა, ფაქტიურად ფსკერზეა ჩანარცხებული, ხალხის ბედი ძალიან ცოტას აწუხებს, საღისტურ — კანბალურმა პობმა წაშალა ადამიანობის ცნება, ვიღას ახლავს სკოლა და მასწავლებელი, საზოგადოების ყველაზე დამცირებული, გაცოდვილებული და დაუცავი ნაწილი? რა პრესტიჟია ლაპარაკი, როდესაც გალატაკებისა და მათხოვრობის სინდრომი სტიქიასავით ბობოქრობს და შიმშილის სისხლიანი თვლები სახეში გვიცქერის? ვიღაის იმედი უნდა გქონდეს, როდესაც ჩვენს თხოვნაზე, რომ ოდნავ მაინც გაგვეუმჯობესებინა მასწავლებელთა პური მომარაგების საკითხი, რაიონის პირველმა ხელმძღვანელმა დოკუმენტი შესასრულებლად რაიკავშირის თავმჯდომარეს დააწერა, რომელიც თავიდან უარზე არ იყო, მაგრამ კონკრეტულად შესრულებისათვის მისულს კარი ცხვირწინ გამომიყვტა და ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი ჰამადისათვის მთხოვნელის უმძიმესი, დამამცირებელი და გამანადგურებელი მწვავე წამები ნებეირი კაცის წინაშე. გვეშველება რამე? გულის მიღავადა და ტვინის მიბურღავა უიმედო და დამამცირებელი ყოფა. არ გვეშველება მანამ, სანამ კანონს უზენაესობა არ მიენიჭება და ნებისმიერი მედროვის წინაშე მორჩილი კრავივით იცახცახებს, სა-

ბიკვიდა საკვირველი ესე ნამ ბოროტებას მწვანე შუქი ექნება, ან ბიზნესმენისა და კომერსანტის მანტიაში გახვეული გველადუა ვაჭრუკანა სისხლს უშიშრად სწოვს, ან კიდევ სანამ ნამდვილ პოლიტიკას არ ვისწავლით და თავგერა და ენაქლესა პოლიტიკოსებს ხმას მივცემთ, არჩევამდე დათაფლული სიტყვებით ბროლის კომიკებს რომ გიგებენ და ალბეების შემდეგ უცბად რომ გაუცხოვდებიან და ყოველ სასიცოცხლო თხოვნაზე პირში მოგახლიან: მაგი რა ჩვენი საქმეა, ჩვენი საქმე პოლიტიკა და კანონების შექმნაა. ღმერთო! შენ მაინც გაგვეკუპასუხი, მშვიდრისათვის, შიმშელისათვის და შემცირე ექლესათვის ის რაც ახლა პარლამენტში ხდება, კმა-რა? რა გულუბრყვილოდ მიეყრდნო დაღლილი ხალხი დემოკრატიის კედელს და რა სწრაფად წაეჭვა ის? მართლაც, სად წავიდა ის საკვირველი ალექსანდი, ეთერი რომ იყო გაბრუებული დემოკრატიის ეგედიო? ყოველდღიურობის გაუარესებამ ადამიანი სულიერ დეპრესიაში ჩააგდო. კრიმინალურმა ბუმმა სასოწარკვეთა, ლოიალურმა პოლიტიკამ ხელფეხი გაუხსნა დამნაშავეთა კარგად ორგანიზებულ კასტას, რომლებმაც ფაქტიურად მბრძანებლური სიმალეები აიღეს და თავიანთი მიზიდულობის ორ-

ბიტაში მოაქციეს მოზრდილი მოსახლეობის დიდი რაოდენობა, ცხრათავიანი ურჩხულივით რომ ფლეთს საქართველოს, პარალიზებას უკეთებს კანონებსაც და სუბორდინაციის წესებსაც. ასე რომ არ იყოს, ვერც რაიკავშირის თავმჯდომარე გაგვაბითურებდა, იანვრის აქეთ გრამი პური რომ არ მიგვიღია და სხვას რომ თავი დავანებოთ, უპუროდ გაგვითენა ბრწყინვალე აღდგომა და ვერც პუროკომინატის მუშაკი დაგვიქნევდა თითს, რომ „ვერ ეღირსებით პურს, როგორ თუ ცხობის ფასზე და უნაიროდ გაბერილ ხარჯებზე იღებთ ხმასო“. გეჩემებიან და ასრულებენ კიდევ. ასე რომაა, ფაქტიც სახეზეა, ვიცი, ეს თქმაც გააღიზიანებთ, მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ: სანამ უნდა ვითმინოთ? თუ ყველაფერი უარყავით და ქრისტეს გზა ავირჩიეთ, ასეთია ქრისტეს გზა? ღმერთმა დაგვიფაროს! დღეს ბრძოლაა ბიოლოგიურად გადარჩენისათვის, მაგრამ არც ასე ჭოჭოხეთური იქნება ყოფა ძალმოწეობისა და მომხვეჭელობის ბუმი აწყვეტილი მხეცივით არ ზეიშობდეს, უფალნი ამასოფლისანი საკუთარი, ამქვეყნიური სამოთხეებისათვის არ ოცნებობდნენ, რომ ადამიანი ჰუმანური იყოს და მამამანურ ტვირთს მყვლეფელებს და მღვტელებს ხელში არ უგდებდნენ. თვითონ შეიხის მდგომარეობ-

და იოლადვე სწირავენ შიმშილისათვის, სიშიშვლისათვის და ჭუჭყისათვის. საკითხავია, გაუძლებთ კი ამდენ ძარცვა-ყვლეფას? ანდა არ შეიძლება ვისაც ხელეწიფება, ჩაიხედოს შესაბამის სამზარეულოში და ხალხი დაარწმუნოს, მართლაც მიტოვებული არიან ყველასგან თუ ქორის დონეზეა მათი ეჭვები, მათი კუთვნილი სააარსებო საშუალებანი უკულმა მიდისო? ნუთუ არ შეიძლება დადგინდეს, როდის, რა სახის და რა რაოდენობის საქონელი გამოგვეგზავნა: სად წავიდა ან ვისთან მივიდა? ამით ხომ ან ქორს მოეკვეთება ფესვი, ან კიდევ უნდა მოიკვეთოს ის, ვინც ხალხის ნერვების დაწვრილებისა და დამქლევების ხარჯზე წუბრბელასავით სივდება. 6. მამსახი, ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი. პატ, რედაქცია! ეს წერილი ამდენი ხანი მაგიდაზე მიდევს და არ მინდოდა გამოგვეგზავნა, თუ მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოსწორდებოდა, მაგრამ ივნისიც მთავრდება და საშველი არაა, ვიცი, რომ ეს გულისტკივილიც დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მაგრამ ეს აბსოლუტური სიმართლე თუ ვინმეს ნერვს ოდნავ მაინც აუტოკებს და მოწყალების თვალთ გადმოგეხედავს, წერილის მიზანს შესრულებულად ჩავთვლი.

პრობლემა

გვიან იქნება თითზე კბენანი

კატასტროფული მდგომარეობაა საქართველოში. ჩვენს თვალწინ წაგზავნიან უმცირესი, იმპერიალიზმის მატარებელი დოვლათი, საზღვარგარეთ ვაჭრობითი პირფარას ლიონი, ხე-ტყის, პროდუქტების საშუალოს, არაფერს ფიქრობს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გაყიდვა.

ბარბაროსობა რბილი შეფასებაა იმართვის, ვინც ანადგურებს კავშირგაბმულობის საშუალებებს, ამ სიტუაციაში პატივსაცემი ყოფილი ტელეფონი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უნდა შეინახოს ზირ-გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ იმდენივე საფრთხეა, რომელიც ატარებს კავშირგაბმულობის საშუალებას, საბოლოოდ კავშირი არ არის რაიონის უმრავლეს რაიონებთან. ყოველი ეს ბრძოლა კვირავით, თვითმართ.

მოგზაურობით კავშირგაბმულობის საფარგლო სამართავად უფროსი იური პაპუაშვილი, ვნახოთ, არსებობს თუ არა მდგომარეობის ნორმალიზაციის რაიმე იმედი.

წარმოუდგენლად ცუდ დღეში ვართ. ყოველდღე ხშირდება კავშირგაბმულობის საშუალებების ქურდობა. მარტო ამ ბოლო ორ წელიწადში მოქმედი ხაზებიდან აღვი-ნაკურალეშის ხაზზე მოპარულია 500 მეტრი კაბელი, ისუნდერში-250 მეტრი, ლაშქარის ხილთან-200, ნაკურალეში-300, ნაკურალეში-ტვიშის ხაზზე-1000, ტვიშის ტერიტორიაზე-1000, ცაგერის ორბელის ხაზზე-1000 მეტრი კაბელი და ა. შ. რადიოს კაბელი მოიპარეს ზედა დეხვირისა და წილამირის მონაკვეთზე 1 და აეროპორტის ტერიტორიაზე 1,5 კილომეტრის სიგრძის.

ბევრჯერ ჩატრეს და მოიპარეს მაგისტრალური კავშირების საქალაქთაშორისო ხაზები ცაგერი-წყალტუბოს მონაკვეთზე, გასაკუთრებით ზუბის მარხების, ღვედი-გელავერის ტერიტორიებზე.

იმის გამო, რომ არ იშლება მასალა, დღეის მდგომარეობით მოპარული და ხელოვნურად დაზიანებული ხაზების აღდგენა არ ხერხდება. ამიტომ თვეობით არ გვაქვს კავშირი სოფლებთან: აღვი, ნაკურალეში, ტვიში, ღვირიში, ოყურეში. რამდენიმე დღის წინ მოიპარეს კაბელი სურამში და დეხვირის ტერიტორიებზე.

მოპარვის ფაქტები ვაცნობთ ცაგერის პოლიციას, მაგრამ არც ერთი დამნაშავე არ გამოვლენილა.

თუ სხვა დროს ერთეული შემთხვევების გამო გვქონდა შესაძლებლობა აღგვედგინა ხელოვნურად დაზი-

იანებული ხაზები, დღეს ამას ვეღარ ვაკეთებთ, რადგან არ იშლება მასალა, და კიდევ რომ იშლებოდეს, შეძენას ვერ შევძლებთ. არ გვაქვს რუსული ფული, კუპონებს კი, მოგვხსენებთ, არავინ იღებს.

ვერ ვცვლით ფოსტის გაყვანილობასთან საწვავის უქოლორის გამო. ერთადერთი, რასაც ვხედავთ, ისაა, რომ ქუთაისიდან შემოგვაქვს პრესა ავტობუსებით, რისთვისაც ძაღლივით ვუცხადებთ ავტობუსის ყველა მძღოლს.

ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ ზოგიერთებს ერთხელ კიდევ უნდა შევახსენოთ, კავშირგაბმულობა ეს ისეთი დარგია, რომელიც პაერით მუდმივ გვერდება ყველას. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ ასე გაგრძელდა სატელეფონო და რადიო-ხაზების ხელყოფა, მალე კავშირები მოიშლება ყველა სოფელთან (ყერა არის, ისიც რომ გავანადგუროთ) და მის აღდგენას წლები და მილიონები დასჭირდება. წლებს ვერ დავუდებთ საჭიროების გამო, ხოლო მილიონები ცაგერის კავშირგაბმულობას არ ექნება. უმჯობესია რაცა გვაქვს, იმას მოვუერთოთ და შევინარჩუნოთ.

ერთხელ კიდევ თხოვნა ჩვენი: ყველა გაუფრთხილდეთ კავშირგაბმულობის აღჭურვილობას, არ მივცეთ საშუალება ბოროტმოქმედს ხელყოს იგი, თორემ დანგრევა წლებით ნაშენები და ნაწვლები, შემდეგ მოწყალეებს არავინ გაიღებს და უკეთესს არავინ გაგვიყვანებს და გვიან იქნება თითზე კბენანი.

კრიმინალური ქრონიკა

მედიკალიზაცია

ამ დღეში და გაუსადი-ლის ცხოვრებაში რა პრობლემაა რომ არ აწუხებდეს ადამიანებს, მაგრამ იმას, რომ ამდენმა მკვლელობამ, ძარცვამ, ყაჩაღობამ თუ სხვა დანაშაულებრივი სისასტიკეების სიმრავლემ ლამის ავადმყოფად მონათლოს ერი, არავითარი გასაჭირი არ შეეძლება.

დღისათვის დაბრუნება

ანუ

რატომ ვიტყუებით თავს?

ყველა განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში უფროსილდებთან, ეხმარებიან და ყურადღებას არ აკლებენ მოხუცს, ქვრივ-ობოლს, მარტოხელს, უზოვარ და უმწიფო ადამიანებს, ჩვენთან კი...

არა, ერი ავადმყოფობის საგან ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ დროზე თუ არ ვუშველით, მეტი სიფხიზლე, სიძაქრე და ოპერატიულობა არ გამოვიჩინებთ, ეს დამლუპველი სეზი ვის იცის სახმადე მიგვიყვას, როგორ გარყენის და გადგვარებს ჩვეს ახალგაზრდობას. ბევრი ამბობს, დრომ მოიტახიო, არა, დრო ვერაფერს დააკლებს პატიოსან და სულმეურველ ადამიანს, იმას კი ვის სულშიც დამნაშავესადმი მიდრეკილება ზის, ამ არეულ დროში სამოქმედო ასპარეზის გაფართოების შესაძლებლობა მიეცა და ავიზრახვების სისრულეში მოსაყვანად დროის გამოყენებას ცდილობს.

წელს 10 ივნისს შეიარაღებული ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ სოფელ ქორენიში მცხოვრებ მარინე თადეოზის ასულ ხმელიძის ოჯახს, საიდანაც გაიტაცეს სხვადასხვა სახის საოჯახო და ოქროს ნივთები, ამის შემდეგ მძარცველები მიიმალნენ, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ვინაობა ოპერატიულად დადგინდა, მაგრამ მათი აყვანა ობიექტური მიზეზების გამო ჩერკეობით ვერ მოხერხდა. ამჟამად მიმდინარეობს ძებნა.

11 ივნისს, ღამით, დაახლოებით 02 საათზე ცაგერის რაიონის სოფელ მა-

ხაში მცხოვრებმა დემურ შოთას ძე კენჭაძემ, თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარეში მცხოვრებმა იმედა ალიოშას ძე ზაქარაშვილმა და გამოძიებით ჩერკეობით დაუდგენელმა მესამე პირმა სოფელ კენაში გაქურდეს ბენია ბეგლარის ძე ახვლედიანის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც გაიტაცეს სხვადასხვა სახის საოჯახო ქონება. დანაშაული გახსნილია. მიმდინარეობს გამოძიება.

სვლა და შეატყობინა ორთაბასოფელს. ვერაფერს შეაქავა ბანდიტმა. ვერც ცური ზრახველი მათგან გონარი სისასტიკით სწავს თვით ოჯახის უფროსს გიგლა ბანძელაძეს მის მეუღლეს, მის შვილებს ორეზის და ზაურის, საცემად მეზობლებიც არ დაინდეს და წაიღეს სამოცდაათი ათასი მანეთი ფული და საოჯახო ნივთები. ბანდიტები მიიმალნენ, ამჟამად მიმდინარეობს მათი ძებნა.

მაისში მკვლელობის ორ შემხარავი ფაქტი მოხდა სოფლებში ლუხვანოსა და ქალისტავში.

22 მაისს სოფელ ლუხვანოში, თავის საცხოვრებელ სახლში იპოვეს გეოგრაფიკის სპირიტის ძე სალიხაძის გვამი, რომელსაც ზურგის არედა აღვიძებოდა გულ-მკერდში მჭრელი, ბასრი საგნით შეჭმული ჭრილობა. გამოძიებით დადასტურდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა მოკლულის ძვირმა მამუკა გეოგრაფის ძე სალიხაძემ. იგი ამჟამად მიმალულია და მკვლელის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით მიმდინარეობს ოპერატიული სამძებრო ღონისძიება.

30 მაისს, ქალისტავში ლუხვანელმა მერაბ ანზორის ძე ლეთოლიანმა ურთიერთშეღავათების ნიშნად ადაგზა გულმკერდის არეში მჩხვლეტავი საგნით სასიკვდილო ჭრილობა მიყვანა მურთაზ კაპიტოს ძე კოპალიანს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. მკვლელის ადგილსამყოფელის დასადგენად და დასაყვებად ტარდება ოპერატიული ღონისძიებები.

როგორც ვიცით და გვესმის უმძიმესი კრიმინოგენური ვითარებაა საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ლამის დამნაშავეთა სამყარომ წაღვეს ჩვენი ქალაქები თუ სოფლები, მაგრამ ის, რაც ჩვენს რაიონში ხდება, მართლაც რომ არ ევადრება უწმინდეს კუთხეს, სადაც ჩვენი წინაპრები კარებს არც კეტვდნენ. არა, ერი ავადმყოფობისგან ღმერთმა დაიფაროს-თქო, ვამბობთ, მაგრამ თავს ხომ არ ვიტყუებთ?

გულს იმედოდ ესაღბუნება

(დასასრული).

მართალია ომი მიმდინარებს, მაგრამ გულს არ გაიტყვას ქართველი არა... რაიონის ერთ მაღალმთიან, სილამაზით გამოჩენულ სოფელ ისუნდერში წელს 5 ბავშვი, სამი ვაჟი და ორი გოგონა დაიბადა.

ბავშვები იბადებიან, სოფელი მრავლდება, რა

შეედრება ამ დიდ სიხარულს მაგრამ გულს ის ამბობს, საქართველოს ძირძველ მიწაზე გაუთავებელ ომში სისხლი რომ იღვრება, საკუთარი მიწიდან აყრილი ლტოლვილებით რომ აივსო ჩვენი სოფლები და ქალაქები.

სევდით და ნალევლით საცხე გულს გვინუგეშებს

იმედი იმისა, რომ ბავშვები იბადებიან სოფელში ადგილის დედას. შემოჩნება გულშემოქმედი არი, ბალ-ვენახისა თუ ვაზის მომვლელები, სამუხეუმო არ გახდება და პატრონი გაუჩნდება უნიკალური ჯიშის ვაზს უსახელოურს, რომლის საუფლოც ეს მაღალმთიანი სოფელი ისუნდერია.

გაიზრდებიან ეს ახალშობილი პატარები-გოგონები

გი ზურაბის ძე აკობიძე, გიორგი სულგოს ძე და დავით თამაზის ძე კუხალაშვილები, ნესტან შაქროს ასული აკობიძე და იზოლდა ილარიონის ასული ჩიქოვანი. ეს ხუთი პატარა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები იქნებიან და გაიგებენ, რომ ისინი იმ დროს მოველინენ ამ ქვეყანას, როცა მშობლიურმა

საქართველომ მსხვერპლი გაიღო თაობების მიერ ნანატრი თავისუფლების მოპოვებისათვის.

ბედნიერი და უღრუბლო ცა ვუსურვოთ. ამ პატარა გოგონა-ბავშვებს-XXI საუკუნის საქართველოს მოქალაქეებს.

წ. მანფარიძე.

რედაქტორი

ნ. ნაზარაძე.

